# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 1984

02/07/2018

1984-31-4-201807021627

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის**
**სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს**
**შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61 -ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა" პუნქტის, 54 - ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე", ,,ე.ვ.'' ქვეპუნქტების, 85-ე მუხლისა და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2 ივლისის №31 1977 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.** შეიქმნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

**ზურაბ მაისურაძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

**მალხაზ ჩხეიძე** - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**მარეხ კანკაძე** - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

**ფიქრია შვანგირაძე** - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი;

**თამარ შვანგირაძე** - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**ანა გელენიძე** - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული და შესყიდვების

სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

**ხათუნა ჯოჯუა** - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**თამარ მამარდაშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (მოწვევით);

**ბადრი პაპავა** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე (მოწვევით);

**ლალი გრიგოლავა** - არასამთავრობო ორგანიზაცია „წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი“ (მოწვევით);

**ხათუნა მაღლაკელიძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი (მოწვევით).

**2.** ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 1977

02/07/2018

1977-31-4-201807021246

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 - ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 54 - ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“, ,,ე.ვ.’’ ქვეპუნქტებისა და 85-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

დანართი №1

# წყალტუბო მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

**1.** „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“–ს მიზანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას ჩართული იქნას სამოქალაქო ინიციატივები, მომავალი გეგმების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტრესები და მიეცეს მათ შესაძლებლობა, თვითონ შეიმუშავონ და განსაზღვრონ რეალიზაციის პრიორიტეტი კონკრეტულ დასახლებაში, უბანში არსებული პრიორიტეტული პროექტები.

**2.** დებულება შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს შესაბამისად და განსაზღვრავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს (შემდგომში „საბჭო“) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

**3.** საბჭოს შემადგენლობაში შედიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე (მოხელეები), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი (წარმომადგენლები), არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი (წარმომადგენლები), და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი (წარმომადგენლები).

**4.** საბჭოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 8 წევრი.

**5.** საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

## მუხლი 2. საბჭოს უფლებამოსილება

**1.** საბჭო უფლებამოსილია, „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს მომზადების ეტაპზე, განიხილოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო განცხადებები (შემდგომში „პროექტი“), შეამოწმოს განცხადებების სისწორე შემდეგი კრიტერიმების გათვალისწინებით: სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი), ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება); ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება); პროექტის განხორციელების ვადები; ემსახურება თუ არა პროექტის განხორციელება საზოგადოებრივ ინტერესს; საჭიროების შემთხვევაში პროექტის განხილვისას მოიწვიოს პროექტის ავტორი

**2.** საბჭო უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები კონკრეტულ დასახლებაში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების თაობაზე, ზემოთ აღნიშნული კრიუტერიუმების გათვალსწინებით.

**3.** საბჭო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრული თანხობრივი ოდენობის გათვალისწინებით, შეამოწმოს დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა და მერს

წარუდგინოს მოსაზრება, შესაბამისი რეკომენდაციის სახით, პროექტის განხორციელების თაობაზე.

**მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი**

**1.** საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

**1.1.** საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

**1.1.1.** უხელმძღვანელოს საბჭოს მუშაობას, მოიწვიოს და გაუძღვეს საბჭოს სხდომებს.

**1.1.2.** კოორდინაცია გაუწიოს საბჭოს საქმიანობას.

**1.1.3.** ხელი მოაწეროს საბჭოს სხდომის ოქმებს.

**1.1.4.** მდივნის წარდგენის საფუძველზე დაამტკიცოს საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა და დღის წესრიგი, აკონტროლოს მისი, სამუშაო გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულება.

**1.1.5.** შეასრულოს საბჭოს წარმომადგენლობითი ფუნქცია.

**1.1.6.** არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე მოიწვიოს საბჭოს სხდომა და საბჭოს სხდომამდე არანაკლებ 2 დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის შესახებ საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ სუბიექტებს.

**1.1.7.** სხდომა გამოაცხადოს გახსნილად, წარადგინოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები და სხდომა გამოაცხადოს დახურულად.

**1.1.8.** საბჭოს თავმჯდომარე, ისევე როგორც საბჭოს სხვა წევრები, სარგებლობს კონკრეტული საკითხის განხილვისას ერთი ხმის უფლებით.

**1.1.9.** საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს სპეციალისტი, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით.

**2.** საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ითავსებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**3.** საბჭოს საქმიანობის საორგანიზაციო საკითხებს უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა საბჭოს წევრთაგან, რომელიც:

**3.1.** ადგენს დღის წესრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს თავმჯდომარეს.

**3.2.** ადგენს საბჭოს სხომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი, საბჭოს წევრები და ასევე ის პირები, რომლებიც ამ სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდნენ.

**3.3.** სხდომის ოქმს, არაუგვიანეს 5 დღის ვადაში წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

**4.** საბჭოს წევრი:

**4.1.** მონაწილეობას ღებულობს საბჭოს სხდომებში.

**4.2.** აფიქსირებს სრულოფილ პოზიციას დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე და სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

**4.3.** ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმს.

**5.** მოწვეულ სპეციალისტზე ვრცელდება ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება – მოვალეობები.

**6.** საბჭოს წევრებს უნდა მიეცეთ აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**7.** საბჭოს წევრს უფლებმოსილება უწყდება:

**7.1.** პირადი განცხადების საფუძველზე.

**7.2.** თუ კვალიფიკაცია და პროფესიული უნარ–ჩვევები არ შეესაბამება საბჭოს მიერ შესასრულებელ საქმიანობას.

**7.3.** უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

**7.4.** გამოიჩინა აშკარა მიკერძოებული დამოკიდებულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**7.5.** კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლო განაჩენი ან გადაწყვეტილება, რომელიც შეუძლებელს ხდის საბჭოს წევრის მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

**7.6.** სასამართლომ აღიარა ქმედუუნაროდ ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად.

**7.7.** გარდაიცვალა.

**7.8.** კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის საბჭოში წევრის უფლებამოსილების განხორციელებას.

**8.** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შესაძლებელია განხორციელდეს საბჭოში შემავალი წევრების ცვლილება.

**მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის საფუძვლები**

**1.** მოქალაქეთა ინიციატივებს განხილვის მიზნით საბჭოს წარუდგენს მერი, რომელსაც ღებულობს წერილობითი ფორმით ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმიწარმოების განყოფილების მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე tskaltubo1@gmail.com.

**მუხლი 5. საბჭოს მუშაობის წესი**

**1.** საბჭო იკრიბება არსებული საჭიროებისას, მაგრამ არანაკლებ ერთხელ, კალენდარული წლის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარის ან/და საბჭოს წევრთა 1/3–ის მოთხოვნის შემთხვევაში.

**2.** საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**3.** საბჭოს სხდომის დღის წესრიგი შედგება მერის მიერ წარდგენილი მოქალაქეთა ინიციატივების შესაბამისად.

**მუხლი 6. ანგარიშვალდებულება**

საბჭო ანგარიშვალდებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

დამტკიცებულია
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სათათბირო ორგანოს,
„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“–ს მიერ
2018 წლის __ _ივლისს_

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის „სამოქალაქო ბიუჯეტი“–ს ფორმირების წესი

სამოქალაქო ბიუჯეტი დემოკრატიის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო ბიუჯეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი – არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. მოქალაქეთა ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ანუ თავად დაგეგმონ პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იყოფა 3 ზონად:

**პირველი ზონა**
(ავალიანის ქუჩა,წერეთლის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, კავკასიონის ქუჩა,ოტია იოსელიანის ქუჩა, შევჩენკოს ქუჩა, ხვამლის ქუჩა, ყაზბეგის ქუჩა,ნინოშვილის ქუჩა,ზაალიშვილის ქუჩა).

**მეორე ზონა**
(შანიძის ქუჩა, 9 აპრილის ქუჩა, ტაბიძის ქუჩა, ლერმონტოვის ქუჩა, 9 მარტის ქუჩა, სარაჯიშვილის ქუჩა, გამსახურდიას ქუჩა, ევდოშვილის ქუჩა, ხანძთელის ქუჩა, მესხის ქუჩა, დუმბაძის ქუჩა, კეცხოველის ქუჩა, გოგებაშვილის ქუჩა, კოსტავას ქუჩა,რუსთავის ქუჩა, ბაგრატის ქუჩა, ნიკოლაძის ქუჩა).

**მესამე ზონა**
(დედა ენის ქუჩა, ფარნავაზ მეფის ქუჩა, მირიან მეფის ქუჩა, გელათის ქუჩა, ერისთავის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩა, ბესიკის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა, კოლხეთის ქუჩა, შავიანიძის ქუჩა, თბილისის ქუჩა, ჩოლოყაშვილის ქუჩა, კლდიაშვილის ქუჩა, ჭაბუკიანის ქუჩა, ტ.ტაბიძის ქუჩა, დადიანის ქუჩა, ბარნოვის ქუჩა, თაყაიშვილის ქუჩა).

- ✓ მომდევნო წლისათვის „სამოქალაქო ბიუჯეტი"–სათვის განკუთვნილი თანხა განისაზღვრება ჯამში 150. 000 (ასორმოცდა ათი ათასი) ლარის ოდენობით, თითოელი ზონისათვის ჯამში 50. 000 (ორმოცდათი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს როგორც ერთი დიდი პროექტი, აგრეთვე რამდენიმე მცირე პროექტი.
- ✓ მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფრომირებულობისათვის, თითო ზონაში გამოიყოფა ერთი კოორდინატორი და ერთი კოორდინატორის თანაშემწე, რომლებიც ზონებში მერის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტთან ურთიერთკოორდინაციით განახორციელებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას, კერძოდ: კოორდინატორები იქნებიან ადმიანები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:
  - აქტიურად იქნებიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
  - კოორდინატორი აკომპლექტებს „წარმომადგენლობით საბჭო"–ს (გონივრულ ფარგლებში, რაოდენობა შეზღუდული არ არის), რომელიც უნდა შეიქმნას თითოეულ ზონაში შემავალი, უბნებიდან. „წარმომადგენლობით საბჭო" იქნება მუდმივმოქმედი ჯგუფი პროექტის მიმდინარეობის პერიოდში. რომლის ფუნქციას წარმოადგენს: დაეხმაროს ლოკალურ კოორდინატორს, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებს

მოსახლეობის ინფორმირებაში, რეკომენდაციების გაწევაში, პროექტის განაცხადის შევსებასა და პროექტის საბოლოო შერჩევის მიზნით ღია კონკურსის პროცედურის განხორციელების ტექნიკურ მხარდაჭერაში.

„სამოქალაქო ბიუჯეტი"–ს პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან,სრულწლოვან მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს ისეთი პროექტები, რომელიც შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის თვითმმართველობის კომპეტენციაში და არ აღემატება ქალაქ წყალტუბოსთვისთვის გამოყოფილ თანხას. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის მიხედვით (ელ.ფოსტის მისამართი: tskaltubo1@gmail.com.)

- ✓ პროექტების წარმოდგენის პერიოდია: **15 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით.**

- ✓ **პროექტის წარმოების წესი:**

  - **I ეტაპი:**

პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, პროექტის კოორდინატორი, რომელიც უშუალოდ ჩართულია პროცესის მიმდინარეობაში, მერის წარმომადგენლის ხელშეწყობით, ატარებს საინფორმაციო შეხვედრას, სადაც ახდენს მოსახლეობის ინფორმირებულობას გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტების შესახებ და აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას პროექტის განხორციელების მიზნებზე და შესაძლებლობებზე;

  - **II ეტაპი:**

მოქალაქე კოორდინატორის დახმარებით შევსებულ სააპლიკაციო ფორმას წერილობით ან ელექტორნული ფორმით ( საკუთარი ან კოორდინატორის ელ–ფოსტიდან) წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში „სამოქალაქო ბიუჯეტი"–ს ფარგლებში გამოცხადებულ პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით.

მოქალაქეთა საპროექტო ინიციატივა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

ა) პროექტის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან,სრულწლოვან მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ბ)პროექტი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, რომელსაც ხელს აწერს პროექტის ავტორი, პროექტის ინიციატივის არანაკლებ 20 მხარდამჭერი.

გ)პროექტი უნდა მოიცავდეს: პროექტის არსს, მიღების მიზანსა და დასაბუთებას, ფინანსურ ხარჯებს, პროექტის განხორციელების ვადას (პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს).

დ)პროქტი უნდა პასუხობდეს დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილ პრიორიტეტებს.

**III ეტაპი:**

საპლიკაციო ფორმის მიღების შემდეგ, მერისთვის წარდგენილი საკითხი რეგისტრირდება „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"–ს დღის წესრიგში, რომელსაც „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" განიხილავს უახლოეს სხდომაზე;

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს შემდეგი კრიტერიმების მიხედვით:

- სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი);
- ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება);
- ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება);
- პროექტის განხორციელების ვადები;

თუ საპროექტო ინიციატივა ვერ აკმაყოფიელბს აღნიშნულ კრიტერიუმებს საბჭო უფლებამოსილია დაადგინოს, რომლის გამოსწორების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს ან/და უარი თქვას შესაბამისი დასაბუთებით ინიციატივის დაკმაყოფილებაზე.

სარეკომენდაციო გადაწყვეტილება საპროექტო ინიციატივის შემდგომ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით სამართლებრივი, ტექნიკური, ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით ან უარის თქმის შესახებ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარედგინება მუნიციპალიტეტს მერს, რომელიც დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აცნობებს როგორც საპროექტო ინიციატივის ავტორს, ასევე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მომავალი წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთებით აცნობებს განმცხადებელს, რამოდენიმე საპროექტო ინიციატივის წარმოდგენის შემთხვევაში მერი ინიციატორს მას უბრუნებს წინადადებით მათთვის პრიორიტეტული პროექტის ღია კონკურსის წესით არჩევისა და წარმოდგენის მიზნით.

წარმოდგენილი პროექტების განხილვა დასრულდება და პირველადი შედეგები ოფიციალურ **საიტზე და გაზეთ ,,ახალი წყალტუბო"-ში განთავსდება 31 აგვისტოს** ჩათვლით.

– IV ეტაპი:

პირველადი შედეგების შემდეგ რამოდენიმე საპროექტო ინიციატივის წარმოდგენის შემთხვევაში მერი ინიციატორს უბრუნებს წინადადებით მათთვის პრიორიტეტული პროექტის ღია კენჭისყრის წესით არჩევისა და წარმოდგენის მიზნით. საბოლოოდ შერჩეული პროექტები **გამოვლინდება 11 სექტემბრამდე და გამოცხადდება 16 სექტემბრამდე** პერიოდში.

პროექტის მსვლელობა და მიმდინარეობა მუდმივად გაშუქდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://tskaltubo.gov.ge და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე, ასევე ინფორმაცია გადაეცემათ კოორდინატორებს, რომლებიც მოახდენენ მოსახლეობის ინფორმირებას პროექტის მსვლელობის და შედეგების თაობაზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ზონებში სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით ღია კენჭისყრის პროცედურა

მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევა ხორციელდება კენჭისყრის საფუძველზე. საპროექტო ინიციატივაზე ხმის მიცემის პროცედურა განხორციელდება ღია კენჭისყრის საფუძველზე 2018 წლის 4-6 სექტემბერს ქალაქ წყალტუბოში - სამ ზონაში სპეციალურად გამოყოფილ დანიშნულების პუნქტში, რომელიც განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი ზონის კოორდინატორთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ.

სამივე ზონაში გაიხსნება ერთი ადგილი მაინც, სადაც მოსახლეობა შეძლებს აირჩიოს პროექტი. კენჭისყრის ადგილები უნდა განთავსდეს ღია ცის ქვეშ ან შენობებში,

შესაბამისი ზონის ცენტრში და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს ხმის მიცემის საშუალება უნდა მისცენ. კენჭისყრის ჩატარების ადგილი ცნობილი უნდა იყოს კოორდინატორისთვის და საინფორმაციო საშუალებების მიერ უნდა იყოს გავრცელებული კენჭისყრამდე 10 დღით ადრე.

საპროექტო ინიციატივაზე ხმის მიცემის პროცედურა განხორციელდება საარჩევნო ბიულეტენის ან/და ონლაინ-კენჭისყრისთვის სპეციალურად შექმნილი ელექტრონული ბიულეტენის ფორმის მეშვეობით.

მოქალაქეს ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის იმ ზონაში ინიცირებულ საპროექტო ინიციატივასთან დაკავშირებით, სადაც იგი არის რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები. კენჭისყრა ხორციელდება მხოლოდ ერთი ინიციატივის შერჩევით შესაბამის საცხოვრებელ ზონაში.

ხმის მიცემის საბოლოო შედეგები შედგება ელექტრონული და ქაღალდის ბიულეტენების მეშვეობით ჩატარებული კენჭისყრის შედეგებისგან რეიტინგული სიის სახით. გამარჯვებული საპროექტო ინიციატივები გამოვლინდება ხმათა მაქსიმალური რაოდენობით, რომლის ფინანსური ღირებულება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული ზონისთვის გამოყოფილ თანხას (50 000 ლარს).

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური რესურსები რეიტინგული სიიდან სხვა პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა, განსახორციელებლად შეირჩევა სიაში რიგით მომდევნო, თუ მისი ღირებულება არ აღემატება თანხას. თუ თანხას აღემატება, მაშინ იგივე პირობებით შეირჩევა მომდევნო. ფინანსური რესურსების დარჩენის შემთხვევაში, თითოეულ ზონაში ისინი შეიძლება გაერთიანდნენ და მიმართული იქნეს საერთო სიიდან მომდევნო ყველაზე რეიტინგული პროექტების განხორციელებაზე.

პროექტები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტების საფუძველზე, აღინიშნება, როგორც "პრიორიტეტი" და სიაში პირველ პოზიციას იკავებენ.

ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, შერჩეული იქნება პროექტი, რომელიც პრიორიტეტულია შესაბამის ზონაში პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით) უფლება აქვს თითო ხმა მისცეს საპროექტო ინიციატივაზე.

კონკრეტული პროექტისთვის ხმის მიცემამდე მოქალაქე უნდა გაეცნოს შესაბამის ზონაში შემოთავაზებული პროექტების მთელ სიას კოორდინატორის მიერ წინასწარ მომზადებულ საინფორმაციო დოკუმენტში. პროექტების საინფორმაციო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს თითოეული პროექტის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: პროექტის სათაური, მოკლე აღწერა, ბიუჯეტი, ავტორი/ავტორები, პროექტის ლოკალიზაცია, რა

პრობლემის გადაჭრაზე არის მიმართული, განხორციელების ვადა, ფოტო. გაცნობის შემდეგ შესაბამის ზონაში მცხოვრები მოქალაქე ირჩევს პროექტს საარჩევნო ბიულეტენის ქაღალდის ფორმის გამოყენებით საარჩევნო უბნებში ან ბიულეტენის ელექტრონული ფორმით ინტერნეტში. მოქალაქის მიერ ორივე ფორმის გამოყენების შემთხვევაში, გაითვალისწინება მხოლოდ ქაღალდის ფორმა.

მოქალაქის მიერ მეორედ ხმის მიცემის მცდელობისას მოქალაქე დაკარგავს ყველა ხმას და მისი ხმები წაიშლება ყველა პროექტიდან.

ზემოთ აღნიშნული პროცედურების განხორციელებას (ხმის მიცემისათვის განკუთვნილ პუნქტში მოქალაქეთა რეგისტრაციას, მათი ხმების დათვლას, გამარჯვებული პროექტის გამოვლენას, პროექტების სიის შექმნას განსახორციელებლად) უზრუნველყოფს ზონებში არსებული წარმომადგენლობითი საბჭოები. წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ოქმების სახით ყველა მონაწილის ხელმოწერებით. ხმების დათვლის შედეგები და გამარჯვებული პროექტები გამოქვეყნებული იქნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ საიტზე.

## 2018 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების სქემა

1. **2018 წლის 01 ივლისიდან, 25 ივლისის ჩათვლით**– საინფორმაციო კამპანია ჩატარდება ქალაქის დასახლების ერთეულებში, წარიმართება საორგანიზაციო სამუშაოები ქალაქის შესაბამის ზონაში „წარმომადგენლობითი საბჭო"–ების შესაკრებად

**2.2018 წლის 15 ივლისიდან, 06 აგვისტოს ჩათვლით**, საპროექტო ინიციატივის შევსებული განაცხადის აპლიკაციის ფორმები მოქალაქის მიერ გაიგზავნება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ელ–ფოსტაზე tskaltubo1@gmail.com ან ჩაბარდება მერიის კანცელარიაში.

3. **2018 წლის 06 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით,** – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი აგზავნის საპროექტო ინიციატივებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"–ს უახლოეს სხდომაზე განსახილველად, სადაც იგი განიხილება ტექნიკური, ფინანსური და იურიდიული გადამოწმების თვალსაზრისით. რეზულტატი ეცნობება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და თანდართული იქნება რეკომენდაცია, რომ გადააწეროს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ პირს პირველადი შედეგების საჯარო გამოქვეყნებისთვის, ვებ-გვერდზე განსათავსებლად. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი, თავის მხრივ გადააწერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ პირს, რომლის მეშვეობით პირველად შედეგებს განათავსებს ოფიციალურ საიტზე.

4. **2018 წლის** 26 აგვისტოდან 01 სექტემბრის **ჩათვლით,** – მერი გადამოწმებულ საპროექტო ინიციატივებს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ხელშეწყობით აცნობებს კოორდინატორებს, ქალაქის „წარმომადგენლობით საბჭოებზე" საბოლოოდ განხილვის მიზნით. წარიმართება შეხვედრები ქალაქში „წარმომადგენლობითი საბჭო"–ების შესაკრებად, პირველადი შემოწმებული საპროექტო ინიციატივების ღია კენჭისყრის საფუძველზე საბოლოო შერჩევისა და მათი 2019 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მოთხოვნის მიზნით.

5.2018 **წლის 10 სექტემბრის ჩათვლით,** – ღია კენჭისყრის საფუძველზე არჩეული საპროექტო ინიციატივების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ხელშეწყობით, კოორდინატორების მიერ, ეცნობება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც **15 სექტემბრის ჩათვლით** თავის მხრივ, ერთობლივად აცნობებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო"-ს, ღია კენჭისყრის საფუძველზე არჩეული პროექტების სტატისტიკური აღრიცხვისათვის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მომავალი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში გათვალისწინებისათვის და უფლებამოსილ პირს, ღია კენჭისყრის საფუძველზე არჩეული პროექტების საიტზე ატვირთვისათვის.

6. ღია კენჭისყრის საფუძველზე არჩეული პროექტი ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ დებულებებით გაწერილი კომპეტენციის ფარგლებში. განხორციელების პერიოდში წარიმართება ღია კენჭისყრის საფუძველზე არჩეული პროექტების სამოქალაქო **მონიტორინგი.**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ☎ ( +995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: tskaltubo1@gmail.com
Rustaveli STR 25. Tskaltubo, Georgia ☎ ( +995) 595 95 90 72 E-mail: tskaltubo1@gmail.com

N 31/6955
15/11/2018

6955-31-2-201811151747

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გრიგოლ ივანეიშვილს

ბატონო გრიგოლ,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ პროგრამას - ,,მოქალაქეთა ჩართულობა“ (პროგრამული კოდი 07 00) დასამტკიცებლად.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ☎ ( +995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: tskaltubo1@gmail.com
Rustaveli STR 25. Tskaltubo, Georgia ☎ ( +995) 595 95 90 72 E-mail: tskaltubo1@gmail.com

N 31/6956
15/11/2018

6956-31-2-201811151748

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გრიგოლ ივანეიშვილს

ბატონო გრიგოლ,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს და პრიორიტეტების დოკუმენტს.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

# **2019-2022** წლების

# პროგრამა მოქალაქეთა ჩართულობა

## შინაარსი

1. პროგრამის პასპორტი

2. პრობლემის განსაზღვრა, რომლის გადაჭრაზე არის მიმართული პროგრამა

3. პროგრამის მიზანი

4. პრობლემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების დასაბუთება, პროგრამის განხორციელების ვადები და ეტაპები

5. პროგრამის განხორციელების ეტაპებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი

6. პროგრამის დაფინანსების მოცულობა და წყაროები

7. პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგი

8. პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები

**1. პასპორტი**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის**
**2019-2022 წლების**
**სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა**

| | |
|---|---|
| შემუშავების ინიციატორი | წყალტუბოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო |
| შემმუშავებელი | წყალტუბოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური |
| პასუხისმგებელი შემსრულებლები | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო (წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის ძირითადი პრინციპებისა და დებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფი), რომელიც მერის 2018 წლის 02 ივლისის №31 1984 ბრძანებით შეიქმნა<br><br>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება (PR-განყოფილება)<br>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები |
| მონაწილეები | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, დაწესებულებები და საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები და სხვა, საბიუჯეტო სახსრების მიმღებები |
| მთავარი მიზანი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სტაბილურ განვითარებაში მონაწილეობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა |
| განხორციელების ვადა | 2019 – 2022 წლები |
| დაფინანსების წყაროები | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სხვა დაფინანსების წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით |
| განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების საერთო მოცულობა | **სულ:** 615 ათასი ლარი, მათ შორის 2019 წელს - 150,0 ათასი ლარი ხოლო 2020-2022 წლებში 155 ათასი ლარი;<br>**მათ შორის:** საინფორმაციო კამპანია და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები - ყოველწლიურად - 5,0 ათასი ლარი |

## 2. პრობლემის განსაზღვრა, რომლის გადაჭრაზე არის მიმართული პროგრამა

თვითმმართველობის ერთ-ერთი ამოცანაა მოსახლეობის ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ მოთხოვნებზე და პრობლემებზე რეაგირება, მათი აქტიურობის და მონაწილეობის ხელშეწყობა.

ამავე დროს, მოქმედი კანონმდებლობა არ აძლევს ადგილობრივი მმართველობის პროცესებში და ბიუჯეტის ფორმირებაში მოქალაქეთა ჩართვისთვის მკაფიო ორიენტირებს, თუმცა სთავაზობს ზოგიერთ მექანიზმს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მმართველობის პროცესში მოქალაქეების ჩართვისას (საჯარო მოსმენები, საზოგადოებრივი საბჭოები, ადგილობრივი ინიციატივები). ასევე, დღესდღეობით მცირდება ხელისუფლებისადმი ნდობის დონე, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლებისადმი.

აქედან გამომდინარე, საზოგადოების სოციალური აქტიურობა  წყალტუბოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან თანამშრომლობის ეფექტური ინსტრუმენტების შექმნას  და მოსახლეობის ჩართვას ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში.

მოქალაქეების გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების პროცესში ჩართვის ტექნოლოგიის  ყველაზე წარმატებულ მსოფლიო გამოცდილებას წარმოადგენს სამოქალაქო ბიუჯეტის გამოყენება ადგილობრივ დონეზე, რომლის დანერგვა ქალაქ წყალტუბოში განხორციელდა "საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის" (პოლონეთი) პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განვითარების ინსტრუმენტი საქართველოში"-ს ფარგლებში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსისტთა აოციაციის დახმარებით.

სწორედ მონაწილეობითი ბიუჯეტირების (Participatory budgeting) მეთოდოლოგია, როგორც პირდაპირი დემოკრატიის ფორმა, განისაზღვრება როგორც დისკუსიისა და გადაწყვეტილების მიღების ღია პროცესი, რომელშიც დასახლებული პუნქტის ყოველ მოქალაქეს შეუძლია წარადგინოს საკუთარი წინადადება და არჩევანის საფუძველზე გადაწყვიტოს, თუ რაში დაიხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტის ნაწილი, და  წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების საფუძველს, 2018 წლის 02 ივლისის № 31 1977 მერის ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად.

ამგვარად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2019-2022 წლების სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის დამტკიცება ხელს შეუწყობს მოქალაქეების ჩართვას საბიუჯეტო პროცესში, დემოკრატიული განხილვის და გადაწყვეტილების მიღების  პროცესის დანერგვას, რომელშიც ჩვეულებრივი ადამიანები გადაწყვეტენ, როგორ გაანაწილონ ქალაქის ბიუჯეტის ნაწილი, და ხელს შეუწყობს ხელისუფლებისადმი ნდობის გაძლიერებას.

**3.** პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

**4.** პრობლემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების დასაბუთება, პროგრამის განხორციელების ვადები და ეტაპები

პრობლემის გადაჭრა ხორციელდება წყალტუბოს მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მოქალაქეების საბიუჯეტო პროცესში ურთიერთქმედების მექანიზმების შემუშავების გზით, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვით და ქალაქის პრიორიტეტული პრობლემების მოგვარების გზით.

პროგრამის განხორციელება გათვლილია 2019-2022 წლებზე და, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის (მონაწილეობითი ბიუჯეტის) შესახებ დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია მერის 2018 წლის 02 ივლისის №31 1977 ბრძანებით (შემდგომში - "დებულება"), ითვალისწინებს წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტში განსაზღვრული ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

**5.** **პროგრამის განხორციელების ეტაპებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი**

პროგრამის განხორციელების ძირითადი ეტაპები:

1. საინფორმაციო კამპანია
2. პროექტების მომზადება და წარდგენა
3. წინადადებების ანალიზი (ვერიფიკაცია)
4. პროექტების არჩევა/შერჩევა განსახორციელებლად
5. ბიუჯეტში ასახვა, განხორციელება, მონიტორინგი და პროცესის შეფასება



პროგრამის ეტაპების განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმა

| № | ღონისძიებების შინაარსი | შემსრულებლები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის მომზადება, საინფორმაციო კამპანია | | | |
| | წინა წლის სამოქალაქო ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე:<br>● რეგულაციებში და წესებში ცვლილებების მომზადება და შეტანა<br>● შესაძლებელია სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს განახლება და კოორდინატორების დანიშვნა<br>● საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა ყველა ეტაპზე | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო | ყოველწლიურად 10 კალენდარული დღის განმავლობაში დასაგეგმის წინა წლის 1 მარტამდე |
| 1.2 | საინფორმაციო კამპანია - მოსახლეობის ინფორმირება<br>● სამოქალაქო ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპებისა და შესაძლებლობების შესახებ,<br>● პროექტების წარდგენის მოთხოვნების შესახებ და მოქალაქეების მოტივირება წინადადებების წარსადგენად<br>● პროექტის შერჩევის პროცედურის შესახებ და მონაწილეობის მისაღებად მოწვევა<br>●შერჩეული პროექტების განხორციელების პროცესის შესახებ | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო<br><br>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება (PR-განყოფილება) (შემდგომში - „უფლებამოსილი სამუშაო ორგანო“) | იწყება 1 აპრილიდან და გრძელდება პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში |
| პროექტების წარდგენა | | | |
| 2.1 | - მოქალაქეების მიერ პროექტების სპეციალური ფორმის მეშვეობით წარდგენის უზრუნველყოფა, დებულების დანართი №1-ის შესაბამისად: | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო<br><br>წყალტუბოს | იწყება 1 მაისიდან მიდინარეობს ყოველწლიურად 45 კალენდარული |

| | | | |
|---|---|---|---|
| | - მისამართზე: ქ. წყალტუბო, ქუჩა________ , კაბ.____<br>- ელექტრონული სახით ელ-ფოსტის მისამართზე: tskaltubo1@gmail.com | მუნიციპალიტეტის მოსახლეობა | დღის განმავლობაში |
| 2.2 | პროექტების წარდგენის პროცესში მოქალაქეებისათვის მხარდაჭერის გაწევა, მათ შორის:<br>-მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება თითოეულ გამოყოფილ ზონაში (ინფორმირება სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის და პროექტების წარდგენის პირობების შესახებ, პროექტებთან დაკავშირებით კონსულტაციები, მოქალაქეების დისკუსიები შესაძლო იდეების შესახებ)<br>- საინფორმაციო პუნქტის მოწყობა<br>- მოხელეებთან კონსულტაციის უზრუნველყოფა | • სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო<br>• კოორდინატორები თითოეულ ზონაში<br>• საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები შესაბამის ზონაში | იწყება 1 მაისიდან მიდინარეობს ყოველწლიურად 45 კალენდარული დღის განმავლობაში |
| 2.3 | წარმოდგენილი პროექტების სიის შედგენა, მათი დასკანირება და საჯაროდ გამოცხადება, წყალტუბოს მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | პროექტების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში |
| წინადადებების ანალიზი (ვერიფიკაცია) | | | |
| 3.1 | საპროექტო განაცხადის ფორმის შევსების სისრულის და სისწორის შემოწმება და გადაცემა წყალტუბოს მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის, რომელთა უფლებამოსილებაში შედის პროექტების განხორციელება დებულების ნორმების შესაბამისად | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | წარმოდგენილი პროექტების სიის შექმნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3.2 | წყალტუბოს მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დასკანირებული პროექტების განთავსება (გარდა პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციისა, რომლის გავრცელებაზეც ავტორებს თანხმობა არ მიუციათ) | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | წარმოდგენილი პროექტების სიის შექმნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 3.3 | დასკანირებული შემოწმებული პროექტების მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | განაცხადის ფორმის შევსების შემოწმედიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 3.4 | წარმოდგენილი პროექტების ვერიფიკაციის განხორციელება სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციებში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით პროექტის ვერიფიკაციის ბლანკის მეშვეობით.<br>ვერიფიკაციის ყველა შევსებული ბლანკი გადაეცემა უფლებამოსილ სამუშაო ორგანოს | წყალტუბოს მერის სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უფლებამოსილებაში შედის პროექტების განხორციელება. | პროექტების მიღების დღიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში (გამონაკლის შემთხვევაში, პროექტების ანალიზის პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 40 კალენდარულ დღემდე) |
| 3.5 | ბლანკების განზოგადება - წინადადებების ანალიზი, იმ პროექტების სიის შედგენა, რომლებმაც მიიღეს უარყოფითი და დადებითი შეფასება. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, უარის მიზეზის აღწერა | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | ბოლო ბლანკის მიღებიდან - წინადადებების ანალიზიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 3.6 | პროექტების არჩევის/შერჩევის მომდევნო ეტაპზე დაშვებული | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო | დაშვებული პროექტების |

| | | | |
|---|---|---|---|
| | პროექტების სიის შედგენა | | საბოლოო განსაზღვრიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 3.7 | წყალტუბოს მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემდეგი ინფორმაციის განთავსება:<br><br>- სია და პროექტები, რომლებიც დაშვებულია კენჭისყრისთვის;<br>- იმ პროექტების ჩამონათვალი, რომლებმაც მიიღეს უარყოფითი შეფასება (უარის დასაბუთებით)<br>- საარჩევნო პუნქტების/დისკუსიის ადგილის სია<br>-ონლაინ-კენჭისყრის ინსტრუმენტების ბმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა |
| პროექტების არჩევა/შერჩევა | | | |
| 4.1 | პროექტების შესახებ პრეზენტაცია და დისკუსია, ავტორთა მხარდაჭერა მათი პროექტების დაწინაურებაში და პროექტების სიით საინფორმაციო მასალების მომზადება კენჭისყრისთვის (საინფორმაციო ბიულეტენი) | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო<br><br>უფლებამოსილი სამუშაო ორგანო<br><br>პროექტების ავტორები | კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა |
| 4.2 | კენჭისყრის პროცესის ორგანიზება<br>- ბლანკების მომზადება<br>- პუნქტების მომზადება<br>- შესაბამისი ზონების წარმომადგენლობითი საბჭოების ჩამოყალიბება დებულების შესაბამისად<br><br>- კენჭისყრის შესახებ ინფორმაციის გავრცელება - ვადების, პუნქტების, | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო<br><br>შესაბამისი ზონების კოორდინატორები<br><br>წარმომადგენლობითი საბჭოები თითოეულ ზონაში<br><br>უფლებამოსილი სამუშაო | კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | პროცედურისა და პროექტების შესახებ | ორგანო | |
| 4.3 | საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა კენჭისყრის გზით საარჩევნო ბიულეტენის მეშვეობით, რომელიც გადაეცემა საარჩევნო პუნქტებს გამოქვეყნებული სიის მიხედვით ან / და ონლაინ-კენჭისყრის მეშვეობით | საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან და ცხოვრობენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და რომლებსაც აქვთ ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება | 15 კალენდარული დღის განმავლობაში დასაგეგმის წინა წლის 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე |
| 4.4 | ხმების დათვლა მიღებული შევსებული საარჩევნო ბიულეტენების მიხედვით თითოეულ ზონაში | შესაბამისი ზონების წარმომადგენლობითი საბჭოები, რომლებიც შეიქმნა დებულების შესაბამისად (შემდგომში – „წარმომადგენლობითი საბჭოები“) | კენჭისყრის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 4.5 | კენჭისყრის შედეგების დადგენა და გამარჯვებული პროექტების განსაზღვრა, რომლებიც იქნება დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში | წარმომადგენლობითი საბჭოები | კენჭისყრის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 4.6 | მოსახლეობის ინფორმირება კენჭისყრის შედეგების შესახებ<br>- მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე თითოეულ ზონაში კენჭისყრის შედეგების განთავსება<br>- ავტორების ინფორმირება ელექტრონული ფოსტის საშუალებით | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო | კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| | - მოსახლეობასთან ღია შეხვედრის ჩატარება<br>- ინფორმაცია მასმედიაში | | |
| ბიუჯეტში ასახვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება | | | |
| 5.1 | სახსრების მთავარი განმკარგულებლების მიერ გამარჯვებული პროექტების საბიუჯეტო განაცხადის ფორმებში ასახვა და საფინანსო სამსახურისთვის წარდგენა კანონმდებლობი შესაბამისად | სახსრების მთავარი განმკარგულებლები | მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული შიდა საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად |
| 5.2 | გამარჯვებული პროექტების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში შეტანა | წყალტუბოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული შიდა საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად |
| 5.3 | გამარჯვებული პროექტების განხორციელება | • სახსრების მთავარი განმკარგულებლები,<br>• ქვედა დონის სახსრების განმკარგულებლები,<br>• სახსრების მიმღებები,<br>• გამარჯვებული პროექტების ავტორები,<br>• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დაინტერესებული მოქალაქეები | საბიუჯეტო წლის განმავლობაში |
| 5.4 | სახსრების მთავარი განმკარგულებლების მიერ სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოსთვის თითოეული გამარჯვებული პროექტის განხორციელების სტადიის შესახებ კვარტალური ანგარიშების | სახსრების მთავარი განმკარგულებლები | ყოველკვარტალურად საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ოფიციალური წარდგენა | | |
| 5.5 | სახსრების მთავარი განმკარგულებლების მიერ სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოსთვის თითოეული გამარჯვებული პროექტის განხორციელების შესახებ წლიური ანგარიშების ოფიციალური წარდგენა, შედეგობრივი მაჩვენებლებით და ხარჯების, პროდუქტის, ეფექტურობის, ხარისხის მაჩვენებლებით და შეძლებისდაგვარად შესრულებული ობიექტის ფოტოთი | სახსრების მთავარი განმკარგულებლები | პროექტის შესრულებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 5.6 | წყალტუბოს მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სახსრების მთავარი განმკარგულებლების კვარტალური და წლიური ანგარიშების განთავსება, ინფორმაცია მასმედიაში, პრეზენტაცია მოსახლეობასთან ღია შეხვედრაზე | უფლებამოსილი სამუშაო ორგანო, | ყოველკვარტალურად სახსრების მთავარი განმკარგულებლებისგან ანგარიშების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 5.7 | პროცესის შეფასება მ.შ მოსახლეობის გამოკითვა | სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო<br>წარმომადგენლობითი საბჭოები<br>დაქირავებული ორგანიზაცია | ყოველწლიურად 15 კალენდარული დღის განმავლობაში დასაგეგმის წინა წლის 1 მარტამდე |

1. პროგრამის დაფინანსების მოცულობა და წყაროები

პროგრამის დაფინანსება განისაზღვრება შესაბამისი წლისათვის "მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ" გადაწყვეტილებით და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრების მთავარი განმკარგულებლები არიან მუნიციპაიტეტის მერის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურები, რომელთა უფლებამოსილებაში შედის ამ პროგრამის დებულების შესაბამისად დადგენილი გამარჯვებული პროექტების განხორციელება. უფლებამოსილი სამუშაო ორგანო (წყალტუბოს მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება - PR-განყოფილება), უზრუნველყოფს საინფორმაციო კამპანიის განხორციელებას 2019-2022 წლებში.

| № | სახსრების გამოყენების მიმართულებები | | სახსრების პროგნოზირება დი მოცულობა, ათასი ლარი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2019 წ. | 2020 წ. | 2021 წ. | 2022 წ. |
| საერთო ფონდი | | | | | | |
| 1 | პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (მომზადება, მხარდაჭერა, სამოქალაქო ბიუჯეტის ძირითადი პრინციპებისა და შესაძლებლობების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია, პროექტებისთვის ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზება და უზრუნველყოფა საარჩევნო პუნქტებში და ა.შ.) | | 0,0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |
| საერთო და სპეციალური ფონდი | | | | | | |
| 1 | | გამარჯვებული პროექტების განხორციელება | 150.0 | 150.0 | 150.0 | 150.0 |
| სულ ჯამი | | | 150.00 | 155.00 | 155.00 | 155.00 |

2. პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგი

პროგრამის განხორციელების მონიტორინგს ახორციელებენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო და უფლებამოსილი სამუშაო ორგანო უფლებამოსილებების შესაბამისად. ასევე, საზოგადოების მხრიდან მონიტორინგს ახორციელებენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტიური მოქალაქეები.

პროექტის განხორციელების პროცესში პასუხისმგებელი შემსრულებლები უზრუნველყოფენ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეფექტურ გამოყენებას სამოქალაქო ბიუჯეტის გამრჯვებული პროექტების განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

სახსრების მთავარი განმკარგულებლები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პროგრამის ეფექტურობის შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენების მონიტორინგს, ანალიზსა და კონტროლს. პროგრამის ეფექტურობის შეფასება ხორციელდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შედეგობრივი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, ასევე სხვა ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც შეიცავს საბიუჯეტო მოთხოვნებს, ხარჯთაღრიცხვებს და ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ ანგარიშებს.

**3. პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები**

ძირითადი მისაღწევი შედეგები:

• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მოქალაქეების ბიუჯეტირების პროცესში ურთიერთქმედების ეფექტური მექანიზმების შექმნა;

• მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

• მოქალაქეების ნდობის ფორმირება ადგილობრივი ხელისუფლებისადმი;

• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ღიაობის გაზრდა;

• გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის დონის ამაღლება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკაზე უშუალო გავლენის მოხდენის შესაძლებლობის მიცემის გზით;

• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრა.

| № | მოსალოდნელი მაჩვენებლები: | საზომი ერთეული | 2019 წ. | 2020 წ. | 2021 წ. | 2022 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ხარჯები** | | | | | |
| 1.1 | განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები | ათასი ლარი | 0.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |
| | პროგრამები | | | | | |
| 1.2. | გამარჯვებული პროექტების განხორციელება | ათასი ლარი | 150.0 | 150.0 | 150.0 | 150.0 |
| 2 | **პროდუქტი** (შუალედური შედეგი) | | | | | |
| 2.1. | მოსახლეობის ინფორმირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების რაოდენობა | ერთეული | 10-მდე | 10-მდე | 10-მდე | 10-მდე |
| 2.2. | კენჭისყრის/კონსესუსუს პროცედურის ჩატარება | ერთეული | 1 | 1 | 1 | 1 |
| 2.3. | პროექტების წარდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში (მარათონი და სხვა) მონაწილეთა რაოდენობა | ერთეული | 100 | 200 | 300 | 400 |
| 3 | **ეფექტურობა და ხარისხი** | | | | | |
